ვერიკო ანჯაფარიძეს

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ – მარაბდა!

მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ,
ანათებ, როგორც ზღაპრული დალი
და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე,
ირხევა შენი ლამაზი ტანი.

ირხევა შენი ლამაზი ტანი
და განა ძალმიძს არ გითვალთვალო,
საქართველოს მზით სახედამწვარო
ანჯაფარიძის ზვიადო ქალო!

მინდოდა ერთი ნატვრა მენატრა
და სანატრელი ისევ შენა ხარ:
მოვმკვდარიყავ და ამ ჩვენს სცენაზე
შენი ქართველი ქალი მენახა.

მოვმკვდარიყავ და ქართულ ლეჩაქში
მენახა შენი ქართველი დედი.
დამაბრმავებდა, ვერიკო, მაშინ
შენი მიმქრალი შარავანდედი!

როცა გიყურებ შავ სამოსელში,
ვხედავ – ჩაუცვამს ძაძა ბუნებას.
მე ნუ მომესწროს შენზე ტირილი
და შენი სიტყვის დაძაბუნება!

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი
და ნატოს ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ – მარაბდ!

1940